

2019 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“ (ს/კ 4204550333)

შინაარსი :

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალის უწყისი)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
7. სხვა მიმდინარე აქტივები
8. არამატერიალური აქტივები
9. ძირითადი საშუალებები
10. სავაჭრო ვალდებულებები
11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
12. გადასახადები
13. გამოუმუშავებელი შემოსავალი
14. ფინანსური ვალდებულებები
15. სხვა ვალდებულებები
16. კაპიტალი
17. ამონაგების აღიარება
18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
19. შრომის ანაზღაურება; ამორტიზაცია; ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი.
20. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან და არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი
21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში, დამრგვალებულია ათას ლარამდე)

	31.12.2019	31.12.2018წ.	31.12.2017წ.
აქტივები	N		
ფული და ფულის ეკვივალენტები	129801	226197	26276
სავაჭრო მოთხოვნები	236886	236155	350634
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	121916	143319	2064309
მარაგები		0	0
- მზა პროდუქცია			
- სხვა	350046	154785	75723
საინვესტიციო ქონება		-	
სხვა მიმდინარე აქტივები	163		384104
ბიოლოგიური აქტივები		-	-
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	75848	89741	42574
ძირითადი საშუალებები	6626836	7311517	7648612
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	
სულ აქტივები	7541496	8161714	10592232
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	107679	58458	5063
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1000	-
	7361		
საგადასახადო ვალდებულებები		34530	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	19331		-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	134371	93988	5063
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	9500000	9726330	12000200
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(2092875)	(1658604)	(1413031)
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-

სულ საკუთარი კაპიტალი	7407125	8067726	10587169
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7541496	8161714	10592232

ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება(მოგება/ზარალი)

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში, დამრგვალებულია ათას ლარამდე)

	2019წ	2018წ.
ნეტო ამონაგები	1363743	831592
საქონლის გაყიდვიდან	18003	356033
მომსახურების გაწევიდან	1345740	475559
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		-
საერთო მოგება	1363743	831592
დასაქმებულთა ანაზღაურება	(671604)	(267370)
ცვეთა და ამორტიზაცია	(426367)	(476867)
სარეკლამო-მარკეტინგული ხარჯი	(16359)	(14464)
საგადასახადო ხარჯი	(64926)	(70206)
კომუნალური ხარჯი	(153186)	(40832)
საიჯარო ხარჯი	(79776)	(8826)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(477525)	(194068)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(6780)	-
სულ საოპერაციო ხარჯები	(1896523)	(1072633)
საოპერაციო მოგება	(532780)	(241041)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		-
მარაგები		-
სხვა არაფინანსური აქტივები		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	15210	20146
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	83299	(24678)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	98509	(4532)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი		-
მოგება/(ზარალი)	(434271)	(245573)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-
სხვა		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(434271)	(245573)
კაპიტალში ცვლილება:		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	9500000	9726330
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(2092875)	(1658604)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7407125	8067726

ფორმა N3 - ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019

2018

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(96396)	199921
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(96 396)	199921
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	226 197	26 276
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	129 801	226 197

განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2008 წლის 10 მარტს კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გენერალ გიორგი კვინიტაძის#8 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს **სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობა**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავს ორი პარტნიორი 75%-25%-ის მფლობელი: არევაკო ინვესტმენტ ლიმიტედ HE356394 /კვიპროსი/-75%

დავით თუშიშვილი 01101130599 /საქართველო/-25%

2019 წელს კომპანიაში დასაქმებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 44 (ორმოცდაოთხი) კომპანიაში მათი შრომის უსაფრთხოების პირობები დაცულია სრულად და ეფექტურად.

კომპანიის ფინანსური აღრიცხვა წარმოებს საბუღალტრო პროგრამაში „ბალანსი“ გამოყენებულია დამხმარე პროგრამები :

სარესტორნო აღრიცხვის პროგრამა IIKo

სასტუმრო აღრიცხვის პროგრამა FIDELIO

დამხმარე პროგრამებიდან ძირითად საბუღალტრო პროგრამაში ხდება მონაცემების გაცვლა(ინტეგრაცია) და საბოლოოდ ყველა მონაცემი თავს იყრის ერთიან საბუღალტრო ბაზაში.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (*შემდგომში “მსს ფასს”*), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში წარდგენილი აქვს ფინანსური ანგარიშგება მეოთხე კატეგორიის საწარმოსთვის.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ექვეყნებინა დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“*GEL*”).

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას რეზიდენტ ბანკებში, ასევე კომპანიის სალაროში არსებულ ფულად სახსრებს

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
ფულადი სახსრები ბანკებში და სალაროში	129801	226197
		-
სულ	129801	226197

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება (დარიცხვის მეთოდით) ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	236886	236155
უიმედო ვალების რეზერვი	(-)	-
სულ	236886	236155

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	121916	143319
სულ	121916	143319

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამშენებლო-სარემონტო პროდუქციას, (სახარჯი მასალა).

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
ნედლეული და მასალები	350046	154785
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სულ	350046	154785

7. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს საბაჟოზე და საგადასახადო ორგანოში და სხვა ზედმეტად გადახდილ თანხებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
	-	-
საგადასახადო აქტივი	163	-

8. არამატერიალური აქტივები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია 75848,41 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღდგენის ღირებულების აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშდება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- ნაგებობები 50 წელი
- დანადგარები 5-10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3-5 წელი
- სანტრანსპორტო საშუალებები 5 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-5 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხები მოცემულია ქართულ ლარში

მიწა-477150 ლარი

შენობა-ნაგებობა-5261242 ლარი

მანქანა-დანადგარები/ლიფტები/გენერატორები-231377 ლარი

სანტრანსპორტო საშუალება-0

ავეჯი და სხვა ინვენტარი-637885 ლარი

დაუმთავრებელი წარმოება-19182 ლარი

არამატერიალური აქტივები-75848,41 ლარი

სულ ჯამში: 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე რიცხული ქონების ღირებულება შეადგენს- 6702684,41 ლარს

10. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

12. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების (ავანსების) მიხედვით.

13. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი მოიცავს კომპანიის ძირითადი კლიენტებისგან წინასწარ მიღებულ თანხებს, რომელთა აღიარებაც დარიცხვის მეთოდის საფუძველზე მოხდა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში (2020წ.)

14. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

15. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს ფიზიკური პირების მიერ კომპანიისთვის გაწეული მომსახურების საფასურს, რომლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

16. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 9 500 000 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ის გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ის შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

კომპანიას 2018-2019 წლებში არ მოუხდენია დივიდენდის გაცემა დამფუძნებლებზე.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

კაპიტალი	2019	2018	2017
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	9500000	9726330	12000200
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(2092875)	(1658604)	(1413031)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7407125	8067726	10587169

17. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

18. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდება „იჯარის ხარჯის“ მუხლში. აღნიშნული იჯარის ხარჯი წარმოადგენს ოფისის იჯარას, რომელიც კომპანიას აქვს ნაქირავები.

19. შრომის ანაზღაურება; ამორტიზაცია და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

2019 წელი

შრომის ანაზღაურება	(671604)
საიჯარო მომსახურების ხარჯი-	(79776)
სარეკლამო-მარკეტინგული ხარჯი-	(16359)
ამორტიზაცია(ცვეთა)-	(426367)
კომუნალური ხარჯი-	(153186)
საგადასახადო ხარჯი-	(64925)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი-	(6780)

სხვა ადმინისტრაციული-საოპერაციო ხარჯი : (477526)

მ.შ.

ჯავშნის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი- (106749)

სასტუმრო/სარესტორნო სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯი- (144512)

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა საოპერაციო ხარჯი- (226265)

სულ ადმინისტრაციული-საოპერაციო ხარჯი : (1896523)

2018 წელი

შრომის ანაზღაურება - (267370)

საიჯარო მომსახურების ხარჯი- (8826)

სარეკლამო-მარკეტინგული ხარჯი- (14464)

ამორტიზაცია(ცვეთა)- (476867)

კომუნალური ხარჯი- (40832)

საგადასახადო ხარჯი- (70206)

სხვა ადმინისტრაციული-საოპერაციო ხარჯი : (194068)

მ.შ.

ჯავშნის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი- (39914)

სასტუმრო/სარესტორნო სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯი- (69394)

სხვა საოპერაციო ხარჯი- (84760)

სულ ადმინისტრაციული-საოპერაციო ხარჯი : (1072633)

20. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან და არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში აღირიცხება უსასყიდლო მიწოდების ოპერაციები, ასევე ძირითადი საშუალებების შემოსავლიდან მიღებული ამონაგები . უსასყიდლო მიწოდებისას, მოთხოვნების ჩამოწერასთან დაკავშირებული ოპერაციები , ასევე ძირითადი საშუალებების რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში**2019**

საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი -17285 ლარი

ძირ.საშუალებების რეალიზაცია - 109005 ლარი

სხვა არასაოპერაციო შემოსავლ - 60366 ლარი

უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება უსასყიდლო მიწოდების
ოპერაციები 92650 ლარი

მატერიალური ფასეულობების ზედმეტობა -3182ლარი

სულ ჯამი: 282488 ლარი

საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი - (2075)ლარი

ძ-საშუალებების რეალიზაციასთან და სხვა ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯი
- (135683)ლარი

სხვაარასაოპერაციო ხარჯები - (46221)ლარი

სულ ჯამი : (183979) ლარი

ჯამი: 98509 ლარი

2018

საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი -31443 ლარი

სხვა არასაოპერაციო შემოსავლ - 6462 ლარი

უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება უსასყიდლო მიწოდების და სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
- 11874 ლარი

სულ ჯამი : 49779 ლარი

საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი -(11297)ლარი

სხვაარასაოპერაციო ხარჯები - (43014) ლარი

სულ ჯამი: (54311)ლარი

ჯამი: (4532)ლარი

21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

□ კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

□ სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

□ შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს“ჯი-დი დეველოპმენტი“

დირექტორი : ეკატერინა თუშიშვილი